рост ზრდა: р. демографический დემოგრაფიული ზრდა, მატება; р. капитальных вложений კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა; р. налогов გადასახადების ზრდა; р. органического строения капитала კაპიტალის ორგანული შედგენილობის ზრდა; р. производительности труда შრომის მწარმოებლურობის ზრდა

ростовщик, ростовщица მეკახშე

ростовщический капитал სავახშო, მეკახშური კაპიტალი

ростовщичество მეკახშეობა

ротационный როტაციული, საროტაციო, როტაციისა
ротация როტაცია, ბრუნვა
рубеж მიჯნა, ზღვარი: за рубежом საზღვარგარეთ
рубежный მიჯნისა, ზღვრისა
рубин ლალი, ბადახში
рубиновый ლალისა, ბადახშისა
рубка ჭრა, ნეხვა, კაფვა, ბობა, დაკეპვა: р. возобновительная განახლებითი ჭრა; р. выборочная ამორჩევითი ჭრა; долгосрочная р. леса ტყის გრძელვადიანი ჭრა
рублевый მანეთიანი: р-ые конфеты მანეთიანი კანფეტი
рубленый დაჭრილი, დანეხილი, დაბობილი, დაკეპილი
рубль I. (денежная единица России, Беларуси и Таджикистана) რუბლი (რუსეთის, ბელარუსისა და ტაჯიკეთის ფულის ერთეული). 2. მანეთი: р. золотой ოქროს მანეთი; р. медный სპილენძის მანეთი; р. переводный გადასაყვანი მანეთი; р. серебряный ვერცხლის მანეთი
рубочный ჭრისა
рубрика რუბრიკა
руда მადანი
рудник მაღაროს
рудниковый, рудничный სამაღაროს, მაღაროსი
рудный სამადნო, მადნისა
рудодобывающая промышленность მადანმომპოვებელი მრეწველობა
рудоносность მადნიანობა
рудоносный მადნიანი
рудообогатительный მადან[გა]მამდიდრებელი
рудообразование მადანწარმოქმნა
рудообразующий მადანწარმომქმნელი
рудоплавильный მადანსადნობი
рудоподъемный მადანამოსაღები
рудосодержание მადან'შემცველობა
рудосодержащий მადან'შემცველი
рудоуправление მაღაროთა სამმართველო
руководитель, руководительница ხელმძღვანელი
руководить ხელმძღვანელობა
руководство I. ხელმძღვანელობა. 2. ხელმძღვანელები
руководящий I. ხელმძღვანელი. 2. სახელმძღვანელო
рулон რულონი
рулонный რულონური, რულონისა
руно საწმისი: р. золотое ოქროს საწმისი
рупия (денежная единица Индии и др.) რუპია (ინდოეთის და სხვათა ფულის ერთეული)
ручательский სათავდებო, თავდებობისა
ручательство თავდებობა
ручной ხელით, ხელისა: р. багаж ხელბარგი; р-ая продажа ხელზე გაყიდვა; р-ая работа ხელით ნაბუშკარი; р. труд ხელით შრომა
рыбные консервы თევზის კონსერვი
рыбный თევზისა: р-ая промышленность თევზის მრეწველობა
рыбоводство მეთევზეობა
рыбоводческий მეთევზეობისა
рыбовоз თევზსაზიდი
рыбозавод თევზის ქარხანა
рыбокомбинат თევზკომბინატი
рыбоконсервный თევზის კონსერვისა
рыболовецкий თევზსაჭერი, მეთევზეობისა
рыболовный თევზსაჭერი, სათევზაო, თევზისმჭერი
рыболовство თევზის ჭერა, თევზჭერა
рыбоморозильный თევზგასაყინი
рыбообрабатывающий თევზდამმუშავებელი
рыбоперерабатывающий თევზგადამამუშავებელი
рыбопродуктивность თევზპროდუქტიულობა
рыбопродуктивный თევზპროდუქტიული
рыбопродукты თევზპროდუქტები, თევზის პროდუქტები
рыбопромысловый თევზსარეწი
рыбопромышленник თევზმრეწველი, თევზის მრეწველი
рыбопромышленный თევზმრეწველური, თევზსამრეწველო
рыботорговец თევზით მოვაჭრე
рыботорговля თევზით ვაჭრობა
рыботорговый თევზსავაჭრო, თევზით ვაჭრობისა
рынковедение ბაზართმცოდნეობა
рынковедческий ბაზართმცოდნეობისა
рынок ბაზარი: р. аграрный აგრარული ბაზარი; р. активный აქტიური ბაზარი; р.

акций აქციების ბაზარი; р. алкогольный ალკოჰოლური ბაზარი; р. банковских акцептов საბანკო აქცეპტების ბაზარი; р. валютный ვალუტის ბაზარი; р. вексельный თამასუქის ბაზარი; р. внешний საგარეო ბაზარი; р. внутренний შიგა ბაზარი; р. государственных учреждений სახელმწიფო დაწესებულებების ბაზარი; р. денежный ფულის ბაზარი; р. емкий ტევადი ბაზარი; р. заемных средств სასესხო სახსრების ბაზარი; р. закрытый დახურული ბაზარი; р. золота ოქროს ბაზარი; р. инвертный ინვერტული ბაზარი; р. ипотечный იპოთეკური ბაზარი; р.капитала კაპიტალის ბაზარი; р. краткосрочного капитала მოკლევადიანი კაპიტალის ბაზარი; р. межбанковский ბანკთაშორისი ბაზარი; р. междилерский დილერთაშორისი ბაზარი; р. международный საერთაშორისო ბაზარი; р. местный ადგილობრივი ბაზარი; р. мировой მსოფლიო ბაზარი; мировой р. рабочей силы მუშაძალის საერთაშორისო ბაზარი; р. монополистической конкуренции მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარი; р. несовершенный არასრულყოფილი ბაზარი; р. нормальный ნორმალური ბაზარი; р. опционный ოფციონური ბაზარი; р. оружейный იარაღის ბაზარი; р. открытый ღია ბაზარი; р. перевернутый გადაბრუნებული ბაზარი; р. перегруженный გადატვირთული ბაზარი; р. покупателя მყიდველის ბაზარი; р. продавца გამყიდველის ბაზარი; р. релевантный რელევანტური ბაზარი; р. сбыта გასაღების ბაზარი; р. свободный თავისუფალი ბაზარი; сегмент р-ка ბაზრის სეგმენტი; сегментирование р-ка ბაზრის სეგმენტირება; р. совершенный სრულყოფილი ბაზარი; р. срочных контрактов ვადიანი კონტრაქტების ბაზარი; р. ссудного капитала სასესხო კაპიტალის ბაზარი; р. страховой სადაზღვევო ბაზარი; р. сырьевой ნედლეულის ბაზარი; р. труда შრომის ბაზარი; р. форвардный ფორვარდული ბაზარი; р. фьючерсный ფიუჩერსული ბაზარი; р. целевой მიზნობრივი ბაზარი; р. ценных бумаг ფასიანი ქაღალდების ბაზარი; р. чистой (совершенной) конкуренции წმინდა (სრულყოფილი) კონკურენციის ბაზარი

рыночность ბაზრიანობა: р. товара საქონლის ბაზრიანობა

рыночный საბაზრო, ბაზრისა: р. бюллетень ценных бумаг ფასიანი ქაღალდების საბაზრო ბიულეტენი; р-ая инфраструктура საბაზრო ინფრასტრუქტურა; р-ая конъюнктура ბაზრის კონიუნქტურა; р-ые отношения საბაზრო ურთიერთობანი; р-ое равновесие საბაზრო წონასწორობა; р. риск საბაზრო რისკი; р-ое саморегулирование საბაზრო თვითრეგულირება; р-ая система საბაზრო სისტემა; р. спрос საბაზრო მოთხოვნა; р-ая стихия ბაზრის სტიქია; р-ая стоимость საბაზრო ღირებულება; р-ая стратегия საბაზრო სტრატეგია; р-ые товары საბაზრო საქონელი; р-ые фонды საბაზრო ფონდები; р-ое хозяйство საბაზრო მეურნეობა; р-ая цена საბაზრო ფასი; р-ое ценообразование საბაზრო ფასწარმოქმნა; р-ая экономика საბაზრო ეკონომიკა

рыхление გაფხვიერება

рыхленый გაფხვიერებული

рыхлитель საფხვიერებელი

рыхлость სიფხვიერე

рыхлый ფხვიერი

рычаг ბერკეტი

рычажный ბერკეტული, ბერკეტიანი, ბერკეტისა

рэ́кет რეკეტი

рэкети́р რეკეტი[ო]რი

ряд მწკრივი, რიგი: р. вариационный ვარიაციული მწკრივი; р. динамический დინამიკური მწკრივი; р. непрерывный უწყვეტი მწკრივი; р. статистический სტატისტიკური მწკრივი

рядковый, рядный მწკრივული, მწკრივობრივი, მწკრივიანი, რიგობრივი, რიგიანი: р. посев зерновых მარცვლეულის რიგობრივი თესვა

рядность მწკრივობა, რიგობრიობა

рядовой 1. მწკრივული. 2. რიგითი

С

саботаж საბოტაჟი
саботажник, саботажница საბოტაჟის მომწყობი
саботажничество საბოტაჟობა
саботажный, саботажнический საბოტაჟური
саботирование საბოტირება, საბოტაჟის მოწყობა
саботированный საბოტირებული
сад ბაღი: с. ботанический ბოტანიკური ბაღი; с. виноградный, виноградник ყურძნის; с. изреженный გამჭრიალებული ბაღი; с. плодовый, фруктовый ხილის ბაღი
садовод მებაღე
садоводство მებაღეობა
садоводческий მებაღეობისა
садовый საბაღე, ბაღისა
сажалка სარგველა
сажать დარგვა
саженец 1. ნერგი. 2. ნარგავი
саженцевый 1. ნერგისა. 2. ნარგავი: с-ые деревья ნარგავი ხეები
саженый დარგული
сажень საჟენი
сало 1. ქონი. 2. ცხიმი
салон სალონი
салонный სალონური, სალონისა
сальдирование სალდირება
сальдированный სალდირებული
сальдо სალდო: с. взаимных расчетов ურთიერთანგარიშსწორებათა სალდო; с. дебетовое დებეტის სალდო; с. конверсии კონვერსიის სალდო; с. кредитовое კრედიტის სალდო; с. миграции მიგრაციის სალდო; с. отрицательное უარყოფითი სალდო; с. платежей გადასახდელთა სალდო
сальдовый სალდური, სალდოსი: с. баланс სალდური ბალანსი; с. метод учета товарно-материальных ценностей საქონლურ-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის სალდური მეთოდი
самоанализ თვითანალიზი
самобытность თავისთავადობა, თვითმყოფადობა
самобытный თვითმყოფადი
самовозрастание თვითზრდა
самовозрастающая стоимость თვითმზარდი ღირებულება
самовоспроизведенный თვითაღწარმოებული
самовоспроизводство თვითაღწარმოება: с. населения მოსახლეობის თვითაღწარმოება
самодействие თვითმოქმედება
самодействующий თვითმოქმედი
самоделка თვითნაკეთობა, თვითნაკეთი
самодельный თვითნაკეთი
самодеятельность თვითმოქმედება
самодеятельный თვითმოქმედი: с-ое население თვითმოქმედი მოსახლეობა
самодисциплина თვითდისციპლინა
самозаготовка თვითდამზადება
самозакупка თვითშესყიდვა
самозанятость თვითდასაქმება
самозанятый თვითდასაქმებული
самоконтроль თვითკონტროლი
самолетостроение თვითმფრინავმშენებლობა
самолетостроительный თვითმფრინავმშენებელი
самоликвидация თვითლიკვიდაცია
самоликвидирующийся вексель თვითლიკვიდირებადი თამასუქი
самоликвидность თვითლიკვიდობა
самоликвидный თვითლიკვიდური
самонаблюдение თვითდაკვირვება
самоначисление თვითდარიცხვა
самообеспечение финансовыми ресурсами ფინანსური რესურსებით თვითუზრუნველყოფა
самообложение თვითდაბეგვრა
самообогащение თვითგამდიდრება
самообогащенный თვითგამდიდრებული
самооборона თავდაცვა
самообразование თვითგანათლება
самообразовательный თვითგანათლებითი, თვითგანათლებისა
самообслуживание თვითმომსახურება

самоограничение თვითშესწავლა, თავის შესწავლა
самоокупаемость თვითანაზღაურება
самоокупаемый თვითანაზღაურებადი
самоопределение თვითგამორკვევა
самоопрос თვითგამოკითხვა
самоотчет თვითანგარიშგება
самооценка თვითშეფასება
само|по|грузчик თვითმტვირთავი
саморазвивающийся თვითგანვითარებადი
саморазвитие თვითგანვითარება
саморазвитый თვითგანვითარებული
саморасчет თვითანგარიშსწორება
саморегистрация თვითრეგისტრაცია
саморегулирование თვითრეგულირება
саморегулируемый თვითრეგულირებადი: с-ая конкуренция თვითრეგულირებადი კონკურენცია; с-ая организация თვითრეგულირებადი ორგანიზაცია
саморекламa თვითრეკლამა
саморекламирование თვითრეკლამირება
самородный თვითნაბადი
самородок золота ხალასი, თვითნაბადი ოქრო
самосвал თვითმცლელი, თვითსაცლელი
самосев 1. თვითნათესავი. 2. ნაგერალა. 3. თვითნათესი
самоснабжение თვითმომარაგება
самосовершенствование თვითსრულყოფა
самосознание этническое ეთნიკური თვითშეგნება
самосохранение თვითგადარჩენა, თვითშენახვა, თვითშენარჩუნება
самосохранительное поведение თვითშენახვითი, თვითშენარჩუნებითი ქცევა
самостоятельность бюджета ბიუჯეტის დამოუკიდებლობა
самостоятельный დამოუკიდებელი, თავისთავადი: с. труд თავისთავადი შრომა
самострахование თვითდაზღვევა
самотек თვითდინება
самоуправление თვითმმართველობა
самоуправляемый თვითმართვადი
самоуправляющий თვითმმართველი
самофинансирование თვითდაფინანსება
самофинансируемый თვითდაფინანსებადი
самофинансирующий თვითდამფინანსებელი
самоход, самоходка თვითმავალი მანქანა
самоходный თვითმავალი
самохозяйствование თვითმეურნეობრეობა, მეურნეობის თვითგაძღოლა
самоцель თვითმიზანი
санаторий სანატორიუმი
санаторно-курортный სანატორიულ-საკურორტო
санаторный, санаторский სანატორიული, სანატორიემისა
санация სანაცია, გაჯანსაღება: с. активная აქტიური სანაცია; с. пассивная პასიური სანაცია
санирование სანირება, გაჯანსაღება: с. финансов ფინანსების გაჯანსაღება
санированный სანირებული, გაჯანსაღებული
санитария სანიტარია
санитарно-бытовое обслуживание სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება
санитарно-гигиенические условия труда შრომის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები
санитарно-контрольный სანიტარიულ-საკონტროლო
санитарно-пропускной სანიტარიულ-გამტარი
санитарно-техническое предприятие სანიტარიულ-ტექნიკური საწარმო
санитарно-транспортный სანიტარიულ-სატრანსპორტო
санитарно-эпидемиологическая станция სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგური
санитарный სანიტარ[ი]ული: с-ая рубка леса ტყის სანიტარიული ჭრა; с-ое состояние населения მოსახლეობის სანიტარიული მდგომარეობა
санкционирование სანქციონირება, სანქციის მიცემა
санкционированный სანქციონირებული
санкция სანქცია: с. банковская ბანკის სანქცია; с. экономическая ეკონომიკური სანქცია
сантехника სანტექნიკა
сантехнический სანტექნიკური
сантим (разменная монета Франции, Бельгии, Швейцарии и др.) სანტიმი (საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიისა და სხვათა

ხურდა ფული)
сантиметр სანტიმეტრი
сантиметровый სანტიმეტრული, სანტიმეტრისა
саперави საფერავი
сапожнический მეწაღმეობისა, სამეწაღეო
сапожничество, сапожное ремесло მეწაღმეობა, მეწაღეობა, ხარაზობა
сапожный 1. ფეხსაცმლისა, სანაღმე, ნაღმისა, საწაღე, წაღისა. 2. სახარაზო, ხარაზისა, მეწაღმისა
сателлит სატელიტი
сателлитный სატელიტური, სატელიტისა
сахар შაქარი: с. кормовой საკვები შაქარი; с. молочный რძის შაქარი, ლაქტოზა; с. паточный ბადაგის შაქარი; с.-песок შაქრის ფხვნილი; с.-рафинад შაქარი-რაფინადი; с. свекловичный ჭარხლის შაქარი; с. тростниковый ლერწმის შაქარი
сахариметр საქარიმეტრი, შაქრიანობის საზომი
сахаристость, сахарность შაქრიანობა, შაქროვანობა
сахаристый შაქრიანი, შაქროვანი
сахарный შაქრისა, შაქრიანი
сахароза საქაროზა
сахарозавод შაქრის ქარხანა
сахарорафинадный შაქარრაფინადული
сбавка დაკლება, მოკლება, ნამოკლება: с. в весе წონაში დაკლება; с. пошлин ბაჟის დაკლება; с. цены ფასის დაკლება
сбавленный დაკლებული, მოკლებული, ნამოკლებული
сбалансирование დაბალანსება
сбалансированность დაბალანსებულობა
сбалансированный დაბალანსებული: с. бюджет დაბალანსებული ბიუჯეტი
сберегатель დამზოგველი
сберегательный შემნახველი: с. банк შემნახველი ბანკი; с-ая касса, сберкасса შემნახველი სალარო; с-ая книжка შემნახველი სალაროს წიგნაკი
сберегающий დამზოგველი
сбережение 1. დანაზოგი: личные с-ия населения მოსახლეობის პირადი დანაზოგები. 2. დაზოგვა, შენახვა, გადანახვა: с. труда შრომის დაზოგვა
сбереженный დაზოგილი
сбивание 1. დაკლება: с. цен ფასების დაკლება. 2. შედღეება, ამოყვანა: с. масла კარაქის შედღეება, ამოყვანა
сбитый 1. დაკლებული. 2. შედღეებილი
сближение დაახლოება, მიახლოება
сближенный დაახლოებული, მიახლოებული
сбор 1. შეკრება, შეგროვება. 2. აკრება: с. налогов გადასახადების აკრება. 3. აკრეფა, დაკრეფა, [მო]კრეფა, ალება: с. винограда ყურძნის კრეფა, რთველი; с. урожая მოსავლის ალება; с. чайного листа ჩაის ფოთლის კრეფა. 4. გამოსაღები, მოსაკრებელი, მოსაკრები: с. акцизный აქციზის მოსაკრებელი; с. за взвешивание აწონვის მოსაკრებელი; с. натуральный ნატურალური მოსაკრებელი; с. страховой სადაზღვევო მოსაკრებელი; с. таможенный საბაჟო მოსაკრებელი. 5. მოპოვება: с. информации ინფორმაციის მოპოვება
сборка აწყობა
сборник статистический სტატისტიკური კრებული
сборный 1. ასაწყობი. 2. ნაკრები. 3. შესაკრები
сборочный საამწყობო, საკრები: с-ая мастерская საამწყობო სახელოსნო; с. цех საამწყობო საამქრო
сборщик, сборщица 1. ამკრეფი, მკრეფავი. 2. ამკრები: с. арендной платы საარენდო გადასახდელის ამკრები; с. налогов გადასახადების ამკრები. 3. ამწყობი
сбраживание დადულება, დაღვინება
сброженный დადულებული, დაღვინებული
сброшюрованный აკინძული
сброшюровать აკინძვა
сбыт გასაღება: с. продукции პროდუქციის გასაღება
сбытовик გამსაღებელი
сбытовой გამსაღებელი, საგამსაღებლო, გასაღებისა: с-ое объединение გამსაღებელი გაერთიანება; с-ые операции გასაღების ოპერაციები; с-ые расходы გასაღების ხარჯები; с-ая скидка საგამსაღებლო ფასდაკლება
сбытово-снабженческая кооперация გამსაღებელ-მომმარაგებელი კოოპერაცია
сбытый გასაღებული

сваренный 1. შედუღებული. 2. შენადული. 3. მოხარშული
сварка, сваривание შედუღება
сварочный შესადუღებელი, საშემდუღებლო, შედუღებისა
сварщик, сварщица შემდუღებელი *მუშა*
сведение 1. ცნობა. 2. უწყება. 3. დაყვანა
свежезамороженный, свежемороженый ახალგაყინული
свежесть სიქორფე, სინორჩე
свежий ქორფა, ნორჩი
свекла ჭარხალი: с. сахарная შაქრის ჭარხალი
свекловод მეჭარხლე
свекловодство მეჭარხლეობა
свекловодческий მეჭარხლეობისა
свеклокомбайн ჭარხლის ასაღები კომბაინი
свеклокопатель ჭარხალსათხრელი
свекломойка ჭარხლის სარეცხი
свеклопогрузчик ჭარხალსატვირთი; ჭარხლის სატვიროი
свеклосахарный შაქრის ჭარხლისა
свеклосеющий ჭარხალმთესველი
свеклосеяние ჭარხლის თესვა
свеклоуборочный ჭარხლის ასაღები
сверенный შეჯერებული, შემოწმებული
сверка შეჯერება, შემოწმება: с. балансовая ბალანსური შეჯერება; с. статистических данных სტატისტიკური მონაცემების შეჯერება
свернутый 1. შეკეცილი. 2. შეხვეული. 3. შედეღებული, აჭრილი
свертывание 1. შეკეცვა: с. производства წარმოების შეკეცვა. 2. შეხვევა. 3. შედეღება, აჭრა
сверх 1. ზევით, -ზე: с. лимита ლიმიტის ზევით; с. плана გეგმის ზევით. 2. გარეშე, გარდა
сверхбюджетный доход ბიუჯეტური შემოსავალი
сверхвысокий таможенный барьер ზემაღალი საბაჟო ბარიერი
сверхдемпинг ზედემპინგი
сверхдемпинговый ზედემპინგური, ზედემპინგისა
сверхзанятость ზედასაქმება
сверхзанятый ზედასაქმებული
сверхимпериализм ზეიმპერიალიზმი
сверхиндустриализация ზეინდუსტრიალიზაცია
сверхиндустриальный ზეინდუსტრიული
сверхлимитный ზელიმიტური
сверхмонополистический ზემონოპოლისტური
сверхмонополия ზემონოპოლია
сверхмощный ზემძლაური
сверхнормативный ზენორმატიული
сверхперепроизводство ზეჭარბწარმოება
сверхплановость ზეგეგმურობა
сверхплановый ზეგეგმური, ზეგეგმითი: с-ая прибыль ზეგეგმური მოგება
сверхприбыль ზემოგება: с. монопольная მონოპოლიური ზემოგება
сверхприбыльность ზემომგებიანობა
сверхприбыльный ზემომგებიანი
сверхскоростной ზეჩქარისნული, ზესწრაფი
сверхсмертность ზემოკვდაობა, ჭარბმოკვდაობა
сверхсметный ზენუსხური
сверхстоимость ზეღირებულება
сверхурочность ზეგანაკვეთიანობა
сверхурочный ზეგანაკვეთური. **Сверхурочные** საზეგანაკვეთო
сверхштатный ზეშტატური, საზეშტატო, ზეშტატისა
сверхэкономичный ზეეკონომიური
световой სასინათლო, სინათლისა, შუქური, შუქისა: с. режим სინათლის რეჟიმი; с-ая реклама შუქრეკლამა
свидетельство 1. მოწმობა: с. о браке ქორწინების მოწმობა; с. о разводе განქორწინების მოწმობა; с. о рождении დაბადების მოწმობა; с. о смерти გარდაცვალების მოწმობა. 2. დამტკიცება
свидетельствование მოწმობა, დამოწმება, დადასტურება
свинг სვინგი
свинец ტყვია
свинина ღორის ხორცი
свиновод მეღორე
свиноводство მეღორეობა
свиноводческий მეღორეობისა
свиной ღორისა
свиноматка დედაღორი, ნეზელი, ქუბი
свинопоголовье ღორის სულადობა
свиноферма მეღორეობის ფერმა

свинцово-цинковый ტყვია-თუთიისა
свинцовый ტყვიანი, ტყვიისა: с-ая промышленность ტყვიის მრეწველობა
свитч სვიტჩი
свобода თავისუფლება: с. выбора არჩევანის თავისუფლება; с. договора ხელშეკრულების თავისუფლება; с. предпринимательства მეწარმეობის თავისუფლება; с. торговли ვაჭრობის თავისუფლება
свободно თავისუფლად: с. конвертируемая валюта თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა; с. плавающий валютный курс თავისუფლად მცოცავი საკალუტო კურსი
свободный თავისუფალი: с-ое время თავისუფალი დრო; с-ая конкуренция თავისუფალი კონკურენცია; с-ое обеспечение თავისუფალი მომარაგება, უსრულფასოფა; с-ое предпринимательство თავისუფალი მეწარმეობა
свод კრებსი, ჯუმლი: с. доходов შემოსავლების შეჯამება, ჯუმლი; с. тарифов ტარიფების კრებსი
сводка 1. კრებსი: с. централизованная ცენტრალიზებული კრებსი. 2. კრებსა, შეჯამება, შეკრება
сводный კრებსითი, ჯუმლობრივი, შეჯამებული: с. анализ კრებსითი ანალიზი; с. баланс კრებსითი ბალანსი; с-ая ведомость კრებსითი, ჯუმლობრივი უწყისი; с-ые данные კრებსითი მონაცემები; с. индекс цен ფასების კრებსითი ინდექსი; с-ая отчетность კრებსითი ანგარიშგებლობა; с. план კრებსითი გეგმა; с-ое планирование კრებსითი დაგეგმვა; с. показатель კრებსითი მაჩვენებელი; с-ая таблица კრებსითი ცხრილი, ტაბულა
своевременность დროულობა, თავისდროულობა
своевременный დროული, თავისდროული: с-ая доставка თავისდროული მიტანა
своеобразие, своеобразность თავისებურება
своеобразный თავისებური: с-ая дотация თავისებური დოტაცია
свойственность თვისებრიობა, დამახასიათებლობა
свойственный დამახასიათებელი, ჩვეული
свойство თვისება
своп სვოპი, გაცვლა
свопинг სვოპინგი
свопцион სვოფციონი
свыше 1. მეტი, მეტად. 2. ზევიდან, ზემოდან
связанность 1. დაკავშირებულობა. 2. შეკრულობა, გადაბმულობა. 3. შებოჭილობა
связанный 1. დაკავშირებული. 2. შეკრული, გადაბმული. 3. შებოჭილი
связующий, связывающий 1. დამაკავშირებელი, მაკავშირებელი. 2. შემკერელი, მჭიდა, გადასაბმელი, მაერთებელი, შემაერთებელი
связывание 1. დაკავშირება. 2. შეკერა, გადაბმა. 3. შებოჭვა: с. денежного капитала ფულადი კაპიტალის შებოჭვა, შებორკვა. 4. მოქსოვა
связь 1. კავშირგაბმულობა. 2. კავშირი
сглаженный 1. გასწორებული, მოსწორებული. 2. შერბილებული
сглаживание 1. გასწორება, მოსწორება. 2. შერბილება
сгнивание ლპობა
сгнивший დამპალი
сговор 1. დათქმა, შეთანხმება. 2. შეთქმულება
сгруженный გადმოტვირთული
сгрузить გადმოტვირთვა
сгруппированный დაჯგუფებული
сгруппировать დაჯგუფება, თავის მოერა
сданный 1. ჩაბარებული. 2. გაქირავებული
сдаточный ჩასაბარებელი, ჩაბარებისა: с-ая ведомость ჩაბარების უწყისი; с-ые цены ჩაბარების ფასები
сдатчик, сдатчица ჩამბარებელი
сдача 1. ჩაბარება. 2. გაქირავება, გაცემა: с. в аренду არენდით გაქირავება; с. внаем გაქირავება. 3. ხურდა
сдвиг 1. ცვლილება, ძერა. 2. [და]ძერა, გადაწევა, მიწევა
сдвоенный გაორმაგებული
сдвоить გაორმაგება, გაორკეცება
сделанный გაკეთებული
сделать გაკეთება
сделка გარიგება, მორიგება: с. алеаторная ალეატორული გარიგება; с. арбитражная საარბიტრაჟო გარიგება; с. биржевая საბირჟო გარიგება; с. депортная დეპორტული გარიგება; с. завершающая დამამთავ-

რებელი გარიგება; с. кабальная კაბალური გარიგება; с. комиссионная საკომისიო გარიგება; с. консенсуальная კონსენსუალური გარიგება; с. контактная საკონტაქტო გარიგება; с. маргинальная მარგინალური გარიგება; с. недействительная ბლადაკარგული, გაუქმებული, ბათილი გარიგება; с. онкольная ონკოლური გარიგება; с. по поставке გარიგება მიწოდებაზე, მიწოდებაზე; с. противозаконная კანონსაწინააღმდეგო გარიგება; с. репортная რეპორტული გარიგება; с. срочная ვადიანი გარიგება; с. финансовая ფინანსური გარიგება

сделочный გარიგებისა: с-ая запись გარიგების ჩანაწერი

сдельно ნარდად, ნარდობლივ

сдельно-аккордный სანარდო-აკორდული

сдельно-премиальный სანარდო-პრემიალური

сдельно-прогрессивный სანარდო-პროგრესიული

сдельность ნარდობლიობა

сдельный ნარდი, სანარდო: с-ая зарплата სანარდო ხელფასი; с-ая оплата труда შრომის სანარდო ანაზღაურება; с-ая работа სანარდო სამუშაო; с-ая система სანარდო სისტემა

сдельщик, сдельщица მენარდე, ნარდად მომუშავე

сдельщина მენარდეობა, ნარდად მუშაობა

сдержанный 1. შეკრებული, შეფერხებული. 2. თავშეკავებული, თავდაჭერილი

сдерживание შეკრება, შეკავება, შეფერხება

сдерживающий შემაკრებელი, შემაფერხებელი: с-ая фискальная политика შემაფერხებელი ფისკალური პოლიტიკა

себестоимость თვითღირებულება: с. коммерческая კომერციული თვითღირებულება; с. перевозок გადაზიდვათა თვითღირებულება; с. полная სრული თვითღირებულება; с. продукции პროდუქციის თვითღირებულება; с. строительства მშენებლობის თვითღირებულება; с. фабрично-заводская საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულება; с. цеховая საამქრო თვითღირებულება

сев 1. [და]თესვა: с. озимый საშემოდგომო, შემოდგომით თესვა; с. ранний ადრეული თესვა; с. ручной ხელით თესვა; с. яровой საგაზაფხულო თესვა. 2. ნათესი

север ჩრდილოეთი

северный ჩრდილოეთი, ჩრდილოეთისა

Северный Кавказ ჩრდილოეთ კავკასია

северокавказский ჩრდილოეთკავკასიური

севооборот თესლბრუნვა

севооборотный თესლბრუნვისა

сегмент სეგმენტი: с. рынка ბაზრის სეგმენტი

сегментационный სეგმენტაციური

сегментация სეგმენტაცია: с. рынка ბაზრის სეგმენტაცია

сегментирование სეგმენტირება, დასეგმენტება: с. риска რისკის სეგმენტირება; с. рынка ბაზრის სეგმენტირება

сегментированный სეგმენტირებული, დასეგმენტებული

сегментный სეგმენტური, სეგმენტისა

сегрегационный სეგრეგაციული

сегрегация სეგრეგაცია

сезон სეზონი

сезонно სეზონურად

сезонность სეზონურობა: с. производства წარმოების სეზონურობა

сезонный სეზონური, სეზონისა: с-ые колебания სეზონური მერყეობა; с-ая миграция სეზონური მიგრაცია; с-ые отрасли სეზონური დარგები; с-ое производство სეზონური წარმოება; с-ая работа სეზონური სამუშაო; с-ые работники სეზონური მუშაკები; с-ое сырье სეზონური ნედლეული; с. фактор სეზონური ფაქტორი; с-ая цена სეზონური ფასი

сейф სეიფი

секвестр სეკვესტრი

секвестрация სეკვესტრაცია

секвестрование სეკვესტრება, დასეკვესტრება

секвестрованный სეკვესტრებული, დასეკვესტრებული

секретность საიდუმლოება, იდუმალობა

секретный საიდუმლო

сектор სექტორი: с. государственный სახელმწიფო სექტორი; с. единоличный ერთპიროვნული სექტორი; с. кооперативный

კოოპერაციული სექტორი; с. общественный საზოგადოებრივი სექტორი; с. частный კერძო სექტორი; с. экономики ეკონომიკის სექტორი

секторный სექტორული, სექტორისა: с-ая диаграмма სექტორული დიაგრამა

секуляризационный სეკულარიზაციული

секуляризация სეკულარიზაცია

секуляриз|ир|ованный სეკულარიზ[ირ]ებული

секуляриз|ир|овать სეკულარიზ[ირ]ება, სეკულარიზაციის მოხდენა

секунда წამი

секундный წამისა

секундомер წამსაზომი, წამმზომი

секционер, секционерка სექციონერი

секционерский სექციონერისა

секционирование სექციონირება, სექციებად დაყოფა

секционный სექციური, სექცი[ებ]იანი, სასექციო, სექციისა

секция სექცია

секьюритизация სეკიურიტიზაცია

селективность სელექციურობა

селективный სელექციური: с. спрос სელექციური მოთხოვნა

селекционер სელექციონერი

селекционно-племенной სასელექციო-სანაშენო

селекционный სელექციური, სასელექციო, სელექციისა

селекция სელექცია

селитра გვარჯილა

селитровый გვარჯილისა

селище ნასოფლარი

село, селение სოფელი

сельский სასოფლო, სოფლისა: с. бюджет სოფლის ბიუჯეტი; с-ое население სოფლის მოსახლეობა; с. рынок სოფლის ბაზარი; с. труженик სოფლის მშრომელი; с-ое хозяйство სოფლის მეურნეობა

сельскохозяйственный სოფლისმეურნეობრივი, სასოფლო-სამეურნეო, სოფლის მეურნეობისა: с. банк სოფლისმეურნეობრივი ბანკი; с. инвентарь სოფლისმეურნეობრივი ინვენტარი; с. кредит სოფლისმეურნეობრივი კრედიტი; с-ое машиностроение სოფლისმეურნეობრივი მანქანათმშენებლობა; с-ые машины სოფლისმეურნეობრივი მანქანები; с. налог სოფლისმეურნეობრივი გადასახადი; с-ое предприятие სოფლისმეურნეობრივი საწარმო; с-ое производство სოფლისმეურნეობრივი წარმოება; с-ые работы სოფლისმეურნეობრივი სამუშაოები; с-ое строительство სოფლისმეურნეობრივი მშენებლობა; с. труд სოფლისმეურნეობრივი შრომა

сельхозугодья სოფლისმეურნეობრივი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები

семейность ოჯახიანობა

семейный ოჯახური, საოჯახო, ოჯახისა: с. бюджет საოჯახო, ოჯახის ბიუჯეტი; с-ое воспитание ოჯახური აღზრდა; с-ая карта საოჯახო რუკა; с-ая нагрузка საოჯახო დატვირთვა; с. отдых ოჯახური დასვენება; с-ые отношения ოჯახური ურთიერთობები; с-ая политика საოჯახო პოლიტიკა; с-ое положение, состояние ოჯახური მდგომარეობა; с-ая собственность საოჯახო საკუთრება; с-ая структура населения მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურა; с. труд საოჯახო შრომა; с-ое хозяйство ოჯახური, საოჯახო მეურნეობა

семейный, семейная ოჯახიანი, ცოლიანი, ცოლ-შვილიანი, ქმრიანი, ქმარ-შვილიანი

семейственность შინაურულობა, ოჯახის მოყვარულობა, კარგი მეოჯახეობა

семейственный შინაურული, კარგი მეოჯახე

семейство ცოლ-შვილი, ქმარ-შვილი

семенной სათესლე, თესლისა: с. капитал სათესლე კაპიტალი; с. фонд სათესლე ფონდი

семеноводство მეთესლეობა

семеноводческий მეთესლეობისა

семеносушилка თესლსაშრობი, თესლსახმობი

семенохранилище თესლსაცავი

семечковый 1. მზესუმზირისა. 2. თესლოვანი. 3. **Семечковые** თესლოვანნი

семидневный შვიდდღიანი, შვიდი დღისა

семикратный შვიდჯერადი, შვიდმაგი, შვიდკეცი

семилетний შვიდწლიანი, შვიდი წლისა

семинар экономический ეკონომიკური სემინარი

семичасовой შვიდსაათიანი, შვიდი საათისა

семья, семейство ოჯახი, ოჯახობა, ჯალაბობა: с. авторитарная ავტორიტარული ოჯახი; с. биологическая ბიოლოგიური ოჯახი; с. большая დიდი ოჯახი; модернизация с-и ოჯახის მოდერნიზაცია; с. нуклеарная ნუკლეარული ოჯახი; размер с-и ოჯახის სიდიდე; с. расширенная (включающая 2-3 поколения) გაფართოებული (2-3 თაობისა) ოჯახი; с. территориальная ტერიტორიული ოჯახი; с. экономическая ეკონომიკური ოჯახი

семьянин, семьянинка მეოჯახე

семя, семена თესლი, თესლეული

сенаж სენაჟი

сенной სათივე, თივისა

сено თივა

сенозаготовительный, сенозаготовочный თივადამზადებული, თივის დამზადებისა

сенозаготовка თივის დამზადება

сенокос 1. თიბვა, თიბვის ალო. 2. სათიბი

сенокосилка სათიბი მანქანა, სათიბელა

сенокосильный სათიბი

сенокосный სათიბი, თიბვისა: с-ые луга სათიბი მდელოები

сенокошение [გა]თიბვა

сенонагрузчик, сенопогрузчик თივასატვირთ[ავი]

сеноподъемник თივაასაწევი მანქანა

сенорезка თივასაკუწი, თივასაჭრელი

сенособиратель თივასაგრეხი

сеносушилка ბალახსაშრობი, თივასაშრობი, ბალახსახმობი

сеноуборка თივის ალება, თიბვა

сеноуборочный თივაასაღები, თივის ასაღები

сенохранилище თივასაცავი

сентябрь სექტემბერი, ენკენისთვე

сентябрьский სექტემბრისა, ენკენისთვისა

сеньор სენიორი

сеньораж სენიორაჟი

сеньорат სენიორატი

сеньоратный სენიორატული

сеньориальное право სენიორიალური უფლება, სამართალი

сеньория სენიორია

сепаратизм სეპარატიზმი

сепаратистский სეპარატისტული

сепаратность სეპარატულობა

сепаратный სეპარატული

сепаратор სეპარატორი, სადღეებელი

сепараторный სეპარატორული, სეპარატორისა

сера გოგირდი

сервис სერვისი: с. послепродажный გაყიდვისმერმინდელი სერვისი

сервисный სერვისული, სერვისისა: с. центр სერვისის ცენტრი

сервитут სერვიტუტი

сервитутный სერვიტუტული, სერვიტუტისა

серебрение მოვერცხვლა

серебреный მოვერცხლილი

серебро ვერცხლი

сереброносность ვერცხლშემცველობა

сереброносный ვერცხლშემცველი

серебряный ვერცხლიანი, ვერცხლისა: с-ая валюта ვერცხლის ვალუტა; с-ые изделия ვერცხლეული, ვერცხლეულობა; с-ая монета ვერცხლის მონეტა; с. монометаллизм ვერცხლის მონომეტალიზმი

середняк საშუალო გლეხი

середняцкий საშუალო გლეხისა

середнячество საშუალო გლეხობა

серийно-поточное производство სერიულ-ნაკადური წარმოება

серийность სერიულობა

серийный 1. სერიული, სერიისა: с-ое производство სერიული წარმოება. 2. სერიიანი

серия სერია

серный გოგირდიანი, გოგირდისა

сертификат სერტიფიკატი: с. аварийный საავარიო სერტიფიკატი; с. аудиторский აუდიტორული, სააუდიტორო სერტიფიკატი; с. денежного рынка ფულის ბაზრის სერტიფიკატი; с. залоговый გირაუნობის სერტიფიკატი; с. инвестиционный საინვესტიციო სერტიფიკატი; с. облигации ობლიგაციის სერტიფიკატი; с. расчетный საანგარიშსწორებო სერტიფიკატი; с. соответствия შესაბამისობის სერტიფიკატი; с. страховой სადაზღვევო სერტიფიკატი; с. участия მონაწილეობის სერტიფიკატი

сертификатный სერტიფიკატული, სერტიფიკატისა

сертификация სერტიფიკაცია

сертифицирование სერტიფიცირება, სერტიფიკატის გაცემა

сертифицированный სერტიფიცირებული, სერტიფიკატის მქონე
серый рынок რუხი ბაზარი
сестерций (древнеримская серебряная мелкая монета) სესტერცია (უძველესი რომაული ვერცხლის წვრილი მონეტა)
сетевой ქსელური, ქსელისა
сетка 1. ბადე: с. демографическая დემოგრაფიული ბადე; с. полулогарифмическая ნახევრად ლოგარითმული ბადე; с. управления მართვის ბადე. 2. ცხრილი: с. тарифная სატარიფო ცხრილი
сеточный ბადური, ბადისა
сеть ქსელი: с. сберегательных банков შემნახველი ბანკების ქსელი; с. связи კავშირგაბმულობის ქსელი
сеялка სათესელა, სათესი მანქანა
сеяние 1. თესვა. 2. [გა]ცრა, [გა]ცხრილვა
сеяный 1. დათესილი, ნათესი. 2. გაცრილი
сибор სიბორი
сигарета სიგარეტი
сигаретный სიგარეტისა
сигнализационный სიგნალიზაციური
сигнализация სიგნალიზაცია
сила ძალა: с. движущая, двигательная მამოძრავებელი ძალა; с. конкуренции კონკურენციის ძალა; с. лошадиная ცხენის ძალა; с. общественная საზოგადოებრივი ძალა; с. производительная მწარმოებლური ძალა
силовой 1. ძალობრივი, ძალური, ძალთა, ძალისა. 2. ძალოვანი
сило-километр ძალა-კილომეტრი
силос სილოსი
силосный სასილოსე, სილოსისა
силосование დასილოსება
силосованный დასილოსებული
силосоконцентрат სილოსკონცენტრატი
силосопагрузчик, силосопогрузчик სილოსატვირთ[ავ]ი
силосорезка სილოსსაკეპი
силосоуборочный სილოსასაღები, სილოსის აღებისა
силосохранилище სასილოსე, სილოსსაცავი
сильнодействующий ძლიერმოქმედი
символ სიმბოლო
символический, символичный სიმბოლური: с-ие деньги სიმბოლური ფული
символичность зарплаты ხელფასის სიმბოლურობა
симеталлизм სიმეტალიზმი
симптом სიმპტომი, ნიშანი
симптоматический, симптоматичный სიმპტომატური
симптоматичность სიმპტომატურობა
симулирование სიმულირება
симулированный სიმულირებული
симулярный вексель სიმულარული თაბასუქი
симуляция სიმულაცია
синдикализм სინდიკალიზმი
синдикат სინდიკატი
синдикатный სინდიკატური, სინდიკატისა
синдицирование სინდიცირება
синдицированный სინდიცირებული, სინდიკატში გაერთიანებული: с. кредит სინდიცირებული კრედიტი; с-ая операция სინდიცირებული ოპერაცია
синдром სინდრომი
синекура სინეკურა
синергический эффект სინერგიული ეფექტი
синергия სინერგია
синоптика სინოპტიკა
синоптический სინოპტიკური
синтез სინთეზი
синтезирование სინთეზირება
синтезированный სინთეზირებული
синтетика სინთეტიკა
синтетический 1. სინთეზური: с-ое волокно სინთეზური ბოჭკო; с. каучук სინთეზური კაუჩუკი; с-ие материалы სინთეზური მასალები; с. показатель სინთეზური მაჩვენებელი. 2. სინთეტიკური: с-ое производство სინთეტიკური წარმოება
синтетичность სინთეზურობა
синхронизация სინქრონიზაცია
синхронизированный სინქრონიზებული
синхронность სინქრონულობა
синхронный სინქრონული
сиротский ობლისა, ობოლთა
сиротство ობლობა
сисмондизм სისმონდიზმი
система სისტემა: с. демовоспроизводства დემოაღწარმოების სისტემა; с. демогра-

фических наук დემოგრაფიული მეცნიერებათა სისტემა; с. денежная ფულის სისტემა; с. заработной платы ხელფასის სისტემა; с. индексов ინდექსების სისტემა; с. колониальная კოლონიური სისტემა; с. контроля კონტროლის სისტემა; с. кредитного рейтинга საკრედიტო რეიტინგის სისტემა; с. налогов გადასახადთა სისტემა; с. национальных счетов ეროვნული ანგარიშების სისტემა; с. обложения დაბეგვრის სისტემა; с. обработки информации ინფორმაციის დამუშავების სისტემა; с. одноналоговая ერთგადასახადიანი სისტემა; с. планирования დაგეგმვის სისტემა; с. показателей მაჩვენებელთა სისტემა; с. торговая საბაჟო სისტემა; с. участия в прибыли მოგებაში მონაწილეობის სისტემა; с. цен ფასების სისტემა; с. экономических отношений ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა

систематизация სისტემატიზაცია

систематизирование სისტემატიზება, სისტემაში მოყვანა

систематизированный სისტემატიზებული, სისტემაში მოყვანილი

систематический, систематичный სისტემატური

систематичность სისტემატურობა

системность სისტემურობა

системный სისტემური, სისტემიანი, სისტემისა: с. анализ სისტემური ანალიზი

ситуационный სიტუაციური: с. анализ სიტუაციური ანალიზი; с-ое управление სიტუაციური მართვა

ситуация სიტუაცია, ვითარება: с. демографическая დემოგრაფიული სიტუაცია, ვითარება

ситцебумажный товар ჩითეული საქონელი, ჩითეულობა

ситцевый ჩითისა, ჩითეულისა: с-ая фабрика ჩითეულის ფაბრიკა

ситценабивной სანითავი

скалькулированный კალკულირებული

калькулировать კალკულირება, კალკულაციის შედგენა

скальп სკალპი

скальпер სკალპერი

сканирование სკანირება

сканированный სკანირებული

сканирующий მასკანირებელი, გამშლელი

скачкообразность ნახტომისებურობა

скачкообразный ნახტომისებური: с-ое развитие ნახტომისებური განვითარება

скачок 1. მკვეთრი ცვლილება, ცვალებადობა. 2. ნახტომი

скачущая инфляция ნახტომისებური ინფლაცია

скважина буровая ჭაბურღილი

скважинный ჭაბურღილისა

скваттер, сквоттер სკვატერი, სკვოტერი

скваттерство სკვატერობა

сквиз სკვიზი

сквитанный გაქვითული

сквитать долг ვალის გაქვითვა

сквозной გამჭოლი

скейт, скейтинг სქეითი, სქეითინგი

скидка ფასდაკლება, დათმობა: с. бонусная ბონუსური ფასდაკლება; с. дилерская დილერული ფასდაკლება; с. сезонная სეზონური ფასდაკლება; со скидкой ფასდაკლებით; с. торговая საბაჟო ფასდაკლება

скирдование ზვინვა, დაზვინვა

скирдованный, заскирдованный დაზვინული

склад საწყობი

складирование საწყობში მოთავსება, შენახვა: с. торфа ტორფის საწყობში შენახვა; с. картофеля კართოფილის საწყობში შენახვა

складированный საწყობში მოთავსებული, შენახული

складской სასაწყობო, საწყობთა, საწყობისა: с-ие работы სასაწყობო სამუშაოები; с-ая сеть საწყობთა ქსელი; с-ое хозяйство სასაწყობო მეურნეობა

склонность მიდრეკილება, ნიჭი, მისწრაფება: с. к накоплению მიდრეკილება დაგროვებისადმი; с. к потреблению მიდრეკილება მოხმარებისადმი

скобяной კაეკელისა, რკინაკაეკელისა, რკინეულობისა

скользящий მცოცავი: с. бюджет მცოცავი ბიუჯეტი; с. график მცოცავი გრაფიკი; с-ая рента მცოცავი რენტა; с-ая средняя მცოცავი საშუალო; с-ие тарифы მცოცავი ტარიფები; с-ая цена მცოცავი ფასი

скомплектованный დაკომპლექტებული
скомплектовать დაკომპლექტება
сконто სკონტო
сконтрация სკონტრაცია
сконцентрированный კონცენტრირებული, თავმოყრილი
сконцентрировать კონცენტრირება, თავმოყრა
скоординированность კოორდინირებულობა
скоординированный კოორდინირებული
скоординировать კოორდინირება, კოორდინაციის მოხდენა, დამყარება
скопить მოგროვება, მოქუჩება, შენახვა, დაუნჯება
скопленный მოგროვილი, მოქუჩებული, დაუნჯებული
скормить გამოკვება
скормленный გამოკვებილი
скорняжничество ქურქობა, ჭონობა
скорняжный ქურქობისა, ჭონობისა: с-ое дело ქურქობა
скорняк, скорнячка ქურქი, ჭონი
скороплодность ადრეულობა, ადრემსხმოიარობა
скороплодный ადრეული, ადრემსხმოიარე
скоропортящийся მალფუჭ[ებ]ადი
скороспелость ადრემწიფადობა
скороспелый საადრეო, ადრეული, ნაადრევი
скоростной ჩქარისნული, ჩქაროსანი
скоростно-поточный ჩქაროსნულ-ნაკადური
скорость სიჩქარე, სისწრაფე: с. оборота денег ფულის ბრუნვის სიჩქარე; с. оборота оборотных средств ბრუნვის საშუალებათა ბრუნვადობის სიჩქარე; с. обращения მიმოქცევის სიჩქარე
скорый ჩქარი, სასწრაფო
скот საქონელი, პირუტყვი: с. дойный მეწველი საქონელი; с. крупный рогатый მსხვილფეხა რქოსანი საქონელი; с. мелкий წვრილფეხა საქონელი; с. молочный მერძეული საქონელი; с. мясной სახორცე საქონელი; с. мясо-молочный სახორცე-მერძეული საქონელი; с. нерабочий არამუშა საქონელი; с. на откорм გასასუქებელი პირუტყვი; с. откормленный ნასუქი საქონელი; с. племенной სანაშენო საქონელი; с. продуктивный პროდუქტიული საქონელი; с. рабочий მუშა საქონელი; с. убойный საკლავი საქონელი, საკლავი
скотный საქონლური, სასაქონლო, საქონლისა, პირუტყვისა
скотобойный სასაკლაოსი
скотобойня სასაკლაო
скотовод მესაქონლე
скотоводство მესაქონლეობა: с. кочевое მომთაბარე მესაქონლეობა; с. мясное სახორცე მესაქონლეობა
скотоводческий მესაქონლეობისა
скотозаготовительный პირუტყვდამამზადებელი
скотозаготовка პირუტყვის დამზადება
скошенный გათიბული, მოთიბული
скрещенный შეჯვარებული
скрещивание შეჯვარება
скрытость ფარულობა, დამალულობა
скрытый ფარული, დამალული: с-ая безработица ფარული უმუშევრობა; с-ое перенаселение ფარული ჭარბმოსახლეობა; с-ые резервы ფარული რეზერვები; с-ая экономика ფარული ეკონომიკა
скудность მწირობა, სიმწირე, სიღარიბე
скудный მწირი, ღარიბი, ღარიბული
скудо სკუდო
скупить, скупка შესყიდვა: с. золота ოქროს შესყიდვა
скупленный შესყიდული
скупничество შემსყიდველობა
скупочный, скупной შემსყიდველი, შესყიდვისა: с. пункт შემსყიდველი პუნქტი
скупщик, скупщица შემსყიდველი
слаборазвитый ნაკლებგანვითარებული: с-ая отрасль промышленности მრეწველობის ნაკლებგანვითარებული დარგი
слаженность გამართულობა
слаженный გამართული
сланец ფიქალი
сланцевый ფიქლიანი, ფიქლისა
следование წასვლა, გამგზავრება
следствие 1. შედეგი. 2. ძიება
следуемый 1. კუთვნილი. 2. მიმავალი
слесарно-ремонтный სასეინკლო-საშემკეთებლო
слесарный, слесарский საზეინკლო, ზეინკლისა
слесарство ზეინკლობა
слесарь-инструментальщик ზეინკალი-მე-

ინსტრუმენტე
сливки ნაღები
сливочный ნაღებიანი, ნაღებისა: с-ое масло კარაქი; с-ое мороженое ნაღების ნაყინი
слиток золота ოქროს ზოდი
слиточный, слитковый ზოდური, ზოდისა
слитый 1. შერწყმული, შეერთებული. 2. გადასხმული, ჩამოსხმული
сличение შედარება, შეჯერება
сличенный შედარებული, შეჯერებული
слияние შერწყმა, შეერთება
словарный სალექსიკონო, ლექსიკონისა
словарь ლექსიკონი
слоган სლოგანი
сложение 1. შეკრება. 2. აგებულება
сложенный 1. შეკრებილი. 2. აგებული
сложность სირთულე
сложный რთული: с. мультипликатор რთული მულტიპლიკატორი; с. процент რთული პროცენტი, სარგებელი; с-ая семья რთული ოჯახი
слой ფენა, შრე
служащий, служащая მოსამსახურე
служба სამსახური: с. демографическая დემოგრაფიული სამსახური; с. контроля კონტროლის სამსახური; с. связи კავშირგაბმულობის სამსახური; с. экономическая ეკონომიკური სამსახური
служебный 1. სამსახურებრივი, სასამსახურო, სამსახურისა. 2. დამხმარე
смазанный შეზეთილი, დაზეთილი, წასმული
смазка, смазывание შეზეთვა, დაზეთვა, გაზეთვა, წასმა, წაცხება
смазочный, смазывающий საზეთავი, საპოხი, საცხები
смежник მომიჯნავე
смежность მომიჯნავეობა, მოსაზღვრეობა
смежный მომიჯნავე, მოსაზღვრე
смена 1. ცვლა: с. поколений თაობათა ცვლა 2. გამოცვლა, შეცვლა, შენაცვლება
сменённый გამოცვლილი, შეცვლილი
сменность 1. ცვლიანობა: с. оборудования მოწყობილობის ცვლიანობა. 2. ცვლადობა: коэффициент с-и ცვლადობის კოეფიციენტი
сменный 1. ცვლისა. 2. ცვლადი
смено-час ცვლასაათი
сменщик, сменщица შემცვლელი
смертность მოკვდაობა, სიკვდილიანობა: с. по видам заболеваемости მოკვდაობა დაავადების სახეობათა მიხედვით; с. детская ბავშვთა მოკვდაობა, სიკვდილიანობა; с. по занятости მოკვდაობა დასაქმების მიხედვით; с. материнская დედათა მოკვდაობა, სიკვდილიანობა; с. новорожденных ახალშობილთა მოკვდაობა, სიკვდილიანობა; с. перинатальная პერინატალური მოკვდაობა, სიკვდილიანობა; с. преждевременная ნაადრევი სიკვდილიანობა; с. по профессиям მოკვდაობა პროფესიების მიხედვით; с. по семейному положению მოკვდაობა ოჯახური მდგომარეობის მიხედვით
смертный მოკვდავი
смета ნუსხა, ხარჯთაღრიცხვა: с. доходов შემოსავლის ნუსხა; с. затрат на производство წარმოებაზე დანახარჯების ნუსხა; с. приходно-расходная შემოსავალ-გასავლის ნუსხა; с. расходов ხარჯების ნუსხა; с. финансовая ფინანსური ნუსხა
сметно-бюджетный ნუსხურ-ბიუჯეტური
сметно-финансовый расчет ნუსხურ-ფინანსური ანგარიშსწორება
сметный ნუსხური, ხარჯთაღრიცხვა, ნუსხისა, ხარჯთაღრიცხვისა: с-ая дисциплина ნუსხური დისციპლინა; с-ая калькуляция ნუსხური კალკულაცია; с-ая стоимость ხარჯთაღრიცხვა; с-ое финансирование ნუსხური დაფინანსება
смешанный შერეული: с-ые банки შერეული ბანკები; с. брак შერეული ქორწინება; с-ая бюджетная классификация შერეული საბიუჯეტო კლასიფიკაცია; с-ое государственно-частное предприятие შერეული სახელმწიფო-კერძო საწარმო; с-ые перевозки შერეული გადაზიდვები; с-ое страхование жизни სიცოცხლის შერეული დაზღვევა; с-ое товарищество შერეული ამხანაგობა; с-ая торговля შერეული ვაჭრობა; с-ая экономика შერეული ეკონომიკა
смолотить გალეწვა, დაცეხვა
смолотый დაფქული
смолоть დაფქვა

смолоченный გალეწილი, დაცეხვილი
смонтированный აწყობილი, დამონტაჟებული
смонтировать აწყობა, დამონტაჟება
смычка კავშირი
смягчение შემსუბუქება, შერბილება: с. ущерба ზიანის შემსუბუქება
смягченный შემსუბუქებული, შერბილებული: с. показатель შერბილებული მანიშნებელი
снабжающий მომმარაგებელი
снабженец მომმარაგებელი
снабжение მომარაგება
снабженный მომარაგებული
снабженческий მომმარაგებელი, მომარაგებითი
снабженческо-сбытовой მომმარაგებელ-გამსაღებელი
снаряжение 1. აღჭურვა. 2. აღჭურვილობა: с. военное სამხედრო აღჭურვილობა
снаряженный აღჭურვილი
снашивание [გა]ცვეთა: с. материальное მატერიალური ცვეთა; с. моральное მორალური ცვეთა; с. орудий труда შრომის იარაღების ცვეთა
снесенный აღებული, დანგრეული, წალეკილი
снижаемый კლებადი
снижение შემცირება, დაკლება, დაწევა, დაცემა: с. затрат დანახარჯთა შემცირება; с. накладных расходов ხელნაღები ხარჯების შემცირება; с. нормы прибыли მოგების ნორმის დაცემა; с. себестоимости თვითღირებულების შემცირება; с. средней нормы прибыли მოგების საშუალო ნორმის დაცემა; с. темпов прироста ზრდის ტემპების შემცირება; с. удойности წველადობის შემცირება; с. урожайности მოსავლიანობის შემცირება; с. цен ფასების შემცირება
сниженный შემცირებული, დაკლებული, დაწეული, დაცემული
сноп ძნა
сноповка ძნების შეკვრა, ძნების დადგმა
сноповый ძნისა
сноповязалка ძნასაკონი *მარკანა*
сноповязальный ძნასაკონი
сноповязка ძნის შეკონვა
снос, снесение აღება, დანგრევა, წალეკვა
сношенный გაცვეთილი
соаренда თანაარენდა
соарендатор თანამოარენდე
собираемость налогов გადასახადების აკრეფადობა
собирасмый 1. ასაკრები. 2. ასაკრეფი
собиратель, собирательница 1. ამკრები. 2. ამკრეფი. 3. შემკრები, შემგროვებელი
собирающий შემკრები
соблюдение დაცვა
соблюденный დაცული
собранный 1. შეკრებილი, შეგროვებული. 2. აკრებილი. 3. აკრეფილი, დაკრეფილი, მოქუნებული. 4. აწყობილი. 5. ნაკრეფი
собственник, собственница მესაკუთრე
собственнический მესაკუთრული, მესაკუთრისა
собственность საკუთრება: с. государственная სახელმწიფო საკუთრება; с. на землю საკუთრება მიწაზე; с. капиталистическая კაპიტალისტური საკუთრება; с. коллективная კოლექტიური საკუთრება; с. муниципальная მუნიციპალური საკუთრება; с. общественная საზოგადოებრივი საკუთრება; с. частная კერძო საკუთრება
собственный საკუთარი: с-ая валюта საკუთარი ვალუტა; с. капитал საკუთარი კაპიტალი; с-ые оборотные средства საკუთარი საბრუნაგი საშუალებანი
событие მოვლენა: с. демографическое დემოგრაფიული მოვლენა
совершеннолетие სრულწლოვანება, სრულასაკოვნება
совершеннолетний სრულწლოვანი
совершенный სრულყოფილი, უნაკლო, სრულქმნილი: с-ая конкуренция სრულყოფილი კონკურენცია
совершенство, совершенность სრულყოფილება, უნაკლობა, სრულქმნილება
совершенствование სრულყოფა, გაუმჯობესება: с. общественных отношений საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა; с. орудий труда შრომის იარაღების სრულყოფა; с. стиля работы მუშაობის სტილის სრულყოფა
совершенствованный სრულყოფილი, გაუმჯობესებული, დახვეწილი

совет 1. საბჭო: с. директоров დირექტორთა საბჭო; Совет Экономической Взаимопомощи (СЭВ) ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო. 2. რჩევა, დარიგება
советник, советница მრჩეველი
советский საბჭოთა
совещание 1. თათბირი. 2. ბჭობა
совещательный სათათბირო
совладелец, совладелица თანამესაკუთრე
совладение თანამესაკუთრეობა
совместимость შეთავსებადობა
совместимый შეთავსებადი, შესათავსებელი
совместитель, совместительница შემთავსებელი
совместительский შემთავსებლური, შემთავსებლისა
совместительство შეთავსება, შემთავსებლობა: с. многократное მრავალშეთავსებიანობა
совместность ერთიანობა
совместный ერთობლივი, საერთო, გაერთიანებული, თანაერი: с-ое предпринимательство ერთობლივი მეწარმეობა; с-ое предприятие ერთობლივი საწარმო; с-ое проживание თანაცხოვრება; с. труд თანაერი შრომა; с-ое финансирование ერთობლივი დაფინანსება
совмещающий შემთავსებელი
совмещение შეთავსება, შეთავსებით მუშაობა: с. профессий პროფესიათა შეთავსება
совмещенный შეთავსებული
совокупность ერთობლიობა: с. выборочная შერჩევითი ერთობლიობა; с. гипотетическая ჰიპოტეტური ერთობლიობა; с.статистическая სტატისტიკური ერთობლიობა; с. экономических законов ეკონომიკური კანონების ერთობლიობა
совокупный ერთობლივი: с-ое богатство ერთობლივი სიმდიდრე; с. денежный оборот ერთობლივი ფულადი ბრუნვა; с-ое общественное производство ერთობლივი საზოგადოებრივი წარმოება; с. общественный капитал ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალი; с. общественный продукт ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი; с. общественный труд ერთობლივი საზოგადოებრივი შრომა; с-ое предложение ერთობლივი მიწოდება; с-ая производительность факторов ფაქტორების ერთობლივი მწარმოებლურობა; с. рабочий ერთობლივი მუშა; с-ые расходы ერთობლივი ხარჯები; с. риск ერთობლივი რისკი; с. спрос ერთობლივი მოთხოვნა
совпадающий დამთხვეული, თანამთხვევადი
совпадение დამთხვევა, თანადამთხვევა, თანამთხვევა, თანხვედრა: с. потребностей მოთხოვნათა დამთხვევა
современность თანამედროეობა, თანადროულობა
современный თანამედროვე, თანადროული
совхоз საბჭოთა მეურნეობა
совхозный საბჭოთამეურნეობრივი, საბჭოთა მეურნეობისა
соглашение 1. შეთანხმება: с. джентльменское ჯენტლმენური შეთანხმება; с. дополнительное დამატებითი შეთანხმება. 2. მორიგება, გარიგება: с. мировое მსოფლიო მორიგება; с. об обратном выкупе მორიგება უკუგამოსყიდვაზე; с. платежное საგადასახდელო გარიგება; с. рыночное საბაზრო გარიგება; с. торговое საეკონომო მორიგება; с. трудовое შრომითი მორიგება. 3. დათანხმება
соглашенный 1. შეთანხმებული. 2. მორიგებული, გარიგებული. 3. დათანხმებული
сода სოდა
содействие დახმარება, ხელის შეწყობა
содействующий ხელშემწყობი
содержание 1. ხელფასი, ჯამაგირი. 2. მოვლა-შენახვა, მარხვნალობა. 3. შემცველობა: с. марганца მანგანუმშემცველობა; с. металла ლითონშემცველობა; с. шлака თუთიაშემცველობა. 4. შინაარსი
содержащий შემცველი
содовый სოდიანი, სოდისა: с-ая промышленность სოდის მრეწველობა
содолжник, содолжница თანამოვალე
содружество თანამეგობრობა
соевый სოიისა
соединение 1. შეერთება, გაერთიანება: с. исков სარჩელთა შეერთება. 2. გადაბმა. 3. შენაერთი
соединенный 1. შეერთებული, გაერთიანებული. 2. გადაბმული
соединитель; соединительный [შემაერთებელი

создание შექმნა: с. поощрительных фондов წახალისებელი ფონდების შექმნა; с. предприятия საწარმოს შექმნა; с. прибавочной стоимости ზედმეტი ღირებულების შექმნა
созданный შექმნილი
создатель, создательница შემქმნელი
созидание შექმნა, შემოქმედება
созидатель შემოქმედი
созидательный შემოქმედებითი
сознание ცნობიერება, გონება, შეგნება: с. демографическое დემოგრაფიული შეგნება, ცნობიერება
сознательность შეგნებულობა, შეგნება
сознательный 1. შეგნებული. 2. ცნობიერი
созревание 1. დავარგება: с. вина ღვინის დავარგება. 2. შემოსვლა, მომწიფება
созревший 1. დავარგებული. 2. შემოსული, დამწიფებული, მომწიფებული
соисполнитель, соисполнительница თანაშემსრულებელი
сок წვენი: с. пастеризованный виноგрадный პასტერიზებული ყურძნის წვენი; с. томатный პომიდორის წვენი
соковый წვენისა
сокращение შემოკლება, შემცირება, შეკვეცა: с. военного бюджета სამხედრო ბიუჯეტის შემცირება; с. затрат დანახარჯების შემცირება; с. звенности რგოლურობის შემცირება; с. непроизводительных расходов არამწარმოებლური ხარჯების შემცირება; с. потерь დანაკარგთა შემცირება; с. рабочего дня სამუშაო დღის შემცირება; с. рабочей недели სამუშაო კვირის შემცირება; с. срока окупаемости ამოგების, გამოსყიდვის ვადის შემცირება; с. тяжелого труда მძიმე შრომის შემცირება; с. штатов შტატების შემცირება
сокращенность შემოკლებულობა, შეკვეცილობა
сокращенный შემოკლებული, შემცირებული, შეკვეცილი: с. анализ შეკვეცილი ანალიზი; с-ая инвентаризация შეკვეცილი ინვენტარიზაცია; с-ая рабочая неделя შემოკლებული სამუშაო კვირა; с. рабочий день შემოკლებული სამუშაო დღე
сокредитор თანაკრედიტორი
сокровище განძი, განძეული, განძეულობა, საუნჯე
сокровищница საგანძური
сокрытие დამალვა, დაფარვა, გადამალვა
соление 1. დამწნილება, დამეკვება, დამარილება. 2. **Соленья** მწნილეული, მეკვეული
соленость სიმლაშე, მარილიანობა
соленый 1. მლაშე, მარილიანი. 2. დამწნილებული, დამეკვებული, დამარილებული
солидарность სოლიდარობა
солидарный სოლიდარული
соло-вексель სოლო-თამასუქი
солома ნამჯა, ჩალა: с. пшеницы ნამჯა
соломенный ნამჯისა, ჩალისა
соломокопнитель ნამჯასაბულულებელი
соломорезка ნამჯასაჭრელი, ჩალასაჭრელი
соломособиратель ნამჯასაგროვი, ბურდოსაგროვი
соль მარილი: с-и калийные კალიუმის მარილი; с. каменная ქვამარილი; с. кристаллическая კრისტალური მარილი; с. легкорастворимая ადვილ[ად]ხსნადი მარილი; с-и минеральные მინერალური მარილი; с. нерастворяющаяся უხსნადი მარილი; с. поваренная სუფრის მარილი; с. труднорастворимая ძნელ[ად]ხსნადი მარილი
соляной მარილიანი, მარილისა: с-ая промышленность მარილის მრეწველობა
сом (денежная единица Кыргызстана) სომი (ყირგიზეთის ფულის ერთეული)
сомнительность საეჭვოობა
сомнительный საეჭვო: с-ые счета საეჭვო ანგარიშები
сонаследник, сонаследница თანამემკვიდრე
сонаследование თანამემკვიდრეობა
сонаследованный თანამემკვიდრეობით მიღებული
соображение მოსაზრება
сообразительность საზრიანობა, გაგებულება, მიხვედრილობა
сообразительный საზრიანი, მიხვედრილი
сообщение 1. შეტყობინება, უწყება. 2. მიმოსვლა, კავშირი: с. воздушное საჰაერო მიმოსვლა; пути с-я სამიმოსვლო გზები; с. телеграфное სატელეგრაფო კავშირი. 3. ცნობება
сообщенный შეტყობინებული
сообщество გაერთიანება, თანაერთიანობა, თანასაზოგადოება

сооружение 1. აშენება, აგება. 2. ნაგებობა
сооруженный აშენებული, აგებული
соответственность შესაბამისობა
соответственный შესაბამისი, შესატყვისი, სათანადო
соответствие შესაბამისობა, შესატყვისობა
соответствующий შესაბამისი, შესატყვისი, სათანადო
соотнесенный შეფარდებული
соотносительность შეფარდებულობა, თანაფარდობითობა
соотносительный თანაფარდობითი, თანაფარდი
соотношение 1. შეფარდება. 2. თანაფარდობა: с. потерь დანაკარგთა თანაფარდობა; с. спроса и предложения მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა; с. численности полов სქესთა რიცხოვნობის თანაფარდობა
соперник, соперница მეტოქე, მოცილე
соперничество მეტოქეობა, მოცილეობა, მეტოქეობის გაწევა, გაჯიბრება
соплеменник, соплеменница თვისტომი, თანამეტომე
соплеменный თვისტომი, თანამეტომე
сопоручитель, сопоручительница თანათაოდები
сопоручительный თანათაოდებითი, სათანათაოდებო, თანათაოდებობისა
сопоручительство თანათაოდებობა
сопоставимость შესადარ[ისl]ობა, შეპირისპირებულობა
сопоставимый შესადარი, შეპირისპირებადი: с-ая величина შესადარი სიდიდე; с. показатель შესადარი მაჩვენებელი; с-ая продукция შესადარი პროდუქცია; с. уровень შესადარი დონე; с-ые цены შესადარი ფასები
сопоставление შეჯერება, შეპირისპირება: с. продукции პროდუქციის შეპირისპირება
сопоставленный შეჯერებული, შეპირისპირებული
сопоставляемый შესადარებელი, შესაპირისპირებელი
сопредельность მოსაზღვრეობა, მომიჯნაეობა
сопредельный მოსაზღვრე, მომიჯნაე
сопротивление წინააღმდეგობა, წინააღმდეგობის გაწევა
сопротивляемость 1. წინააღმდეობა: с. износу წინააღმდეობა გაკვეთისადმი. 2. წინააღმდეგობის გაწევის უნარი
сопряжение შეუღლება
сопряженный შეუღლებული, დაკავშირებული: с-ые вложения შეუღლებული დაბანდებები; с-ые затраты შეუღლებული დანახარჯები
сопутствующий თანმხლები, თანამდევი, თანამდე: с-ие товары თანამდევი საქონელი
соразмерность თანაშეზომილობა
соразмерный თანაშეზომილი
сорванный 1. მოკრეფილი, მოწყვეტილი. 2. ნაშლილი, ნაფუშული, ნავარდნილი
соревнование შეჯიბრება
